მუშათა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 3 აგვისტო, 1945 წ. № 152 (7367). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ, 2 აგვისტოს მუშაობა დაამთავრა სამი სახელმწიფოს ბერლინის კონფერენციამ.

კონფერენციის გადაწყვეტილებებს, რომლებიც დღეს ჩვენს გაზეთში ქვეყნდება, კმაყოფილებით შეხვდება საბჭოთა ხალხი, მშვიდობიანობის ყველა მეგობარი მთელს მსოფლიოში.

ცნობა

სამი სახელმწიფოს ბერლინის კონფერენციის შესახებ

I

1945 წლის 17 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჰარი ს. ტრუმენი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე გენერალისიმუსი ი. ს. სტალინი და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ს. ჩერჩილი ბ-ნ კლემენტ რ. ატლისთან ერთად შეხვდნენ ერთმანეთს ბერლინის სამმხრივ კონფერენციაზე. მათ ახლდნენ სამი მთავრობის საგარო საქმეთა მინისტრები ჯ. მ. მოლოტოვი, ბ-ნი ე. ფ. ბირნსი და ბ-ნი ა. იდენი, შტაბების უფროსები და სხვა პირველნი.

17-დან 25 ივლისამდე განვლილ პერიოდში შესდგა 9 სხდომა. ამის შემდეგ კონფერენცია შესწყდა ორი დღით, იმ დროს, როცა ცხადდებოდა იგივლისს საერთო არჩევნების შედეგები.

28 ივლისს ბ-ნი ატლი კონფერენციაზე დაბრუნდა, როგორც პრემიერ-მინისტრი საგარო საქმეთა ახალ-მინისტრი ბ-ნ ე. ბევინის თანხლებით. შემდგა კიდევ ოთხი სხდომა. კონფერენციის განმავლობაში ხდებოდა რეგულარული შეხვედრები სამი მთავრობის მეთაურებისა, რომლებსაც თან ახლდნენ საგარო საქმეთა მინისტრები, და ამართებოდა საგარო საქმეთა მინისტრების რეგულარული თათბირები.

სხდომები ყოველდღიურად ჭეშდნა აგრეთვე საკითხების წინასწარ მოსამზადებლად საგარო საქმეთა მინისტრების თათბირის მიერ დანიშნული კომისიებს. კონფერენციის სხდომები სწარმოებდა სესილიან-ჰოფში, პოტსდამის ახლოს.

კონფერენცია დამთავრდა 1945 წლის 2 აგვისტოს.

მიღებულ იქნა დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი და შეთანხმებანი. მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა მთელ რიგ სხვა საკითხებზე. ამ პრობლემების განხილვა გაგრძელდება საგარო საქმეთა მინისტრების საბჭოში, რომელიც ამ კონფერენციამ შეკმნა.

პრეზიდენტი ტრუმენი, გენერალისიმუსი სტალინი და პრემიერ-მინისტრი ატლი ამ კონფერენციას, რომელმაც განამტკიცა კავშირი სამ მთავრობას შორის და გაფაროოვა მათი თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების ფარგლები, სტოვებენ ახალი რწმენით, რომ მათი მთავრობები და ხალხები, სხვა გაერთიანებულ ერებთან ერთად, უზრუნველყოფენ სამართლიანი და მტკიცე მშვიდობიანობის შექმნას.

II

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დაარსება

A. კონფერენციამ მიიღწია შეთანხმებაზე — დაარსდეს საბჭო საგარეო საქმეთა მინისტრებისა, რომლებიც წარმოადგენენ ხუთ მთავარ სახელმწიფოს, იმ მიზნით, რომ ამ საბჭომ განაგრძოს მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის საჭირო მოსამზადებელი მუშაობა და განიხილოს სხვა საკითხები, რომლებიც საბჭოში მონაწილე მთავრობებს შორის შეთანხმებით შეიძლება დროდადრო გადაეცეს საბჭოს.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დაარსების შესახებ შეთანხმების ტექსტში ნათქვამია:

1. უნდა დაარსდეს საბჭო შეერთებული სამეფოს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ჩინეთის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების შემადგენლობით.

2. a) ნორმალურად საბჭოს სხდომები ექნება ლონდონში, სადაც მუდმივი ადგილსამყოფელი ექნება გაერთიანებულ სამეფოსს, რომელიც საბჭოს უნდა შეასრულოს. თვითოეულ საგარეო საქმეთა მინისტრს თან ახლდნენ მაღალი რანგის მოადგილეები, რომელიც ჯერეულად უფლებამოსილი იქნება აწარმოოს მუშაობა მისი საგარეო საქმეთა მინისტრის არყოფნის დროს, და ტექნიკურ თანამშრომლობა მცირე შტატი.

b) საბჭოს პირველი სხდომა შესდგება ლონდონში არა უგვიანეს 1945 წლის 1 სექტემბრისა. სხდომები საერთო შეთანხმებით შეიძლება მოწვეულ იქნას სხვა დედაქალაქებში, რის შესახებაც საჭირო იქნება დროდადრო შეთანხმების მიღწევა.

3. a) როგორც საბჭოს დაუყოვნებელი და მნიშვნელოვანი ამოცანა მას ეკისრება საზავო ხელშეკრულებათა შედგენა იტალიისა, რუმინეთისა, ბულგარეთისა, უნგრეთისა და ფინეთისათვის ამ ხელშეკრულებების გაერთიანებული ერებისათვის წარსადგენად და წინადადებათა შესამუშავებლად იმ გადაუწყვეტელი ტერიტორიული საკითხების მოწესრიგებისათვის, რომლებიც წამოიჭრა ევროპაში ომის დამთავრებასთან დაკავშირებით. საბჭო გამოუყენებენ იქნება მშვიდობიანი მოწესრიგების მოსამზადებლად გერმანიისათვის იმ ვარაუდით, რომ შესაბამისი დოკუმენტი მიიღოს ამ მიზნისათვის გამოსადგამ გერმანიის მთავრობამ, როცა ასეთი მთავრობა შეიქმნება.

b) თვითეული ამ ამოცანის გადასაწყვეტად საბჭო შემდგარი იქნება იმ სახელმწიფოთა წარმომადგენელი წევრებისაგან, რომლებმაც ხელი მოაწერეს იმ მტრული სახელმწიფოსათვის ნაკარნახევი კაპიტულაციის პირობებს, რომელსაც შეეხება მოცემული ამოცანა. იტალიასთან მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხების განხილვისას საფრანგეთი განხილულ იქნება როგორც იტალიის კაპიტულაციის პირობების ხელის მომწერი. სხვა წევრებს მიიწვევენ საბჭოში მონაწილეობისათვის, როცა მოხდება იმ საკითხების განხილვა, რომლებიც მათ პირდაპირ შეეხება.

c) სხვა საქმეები დროდადრო გადაეცემა საბჭოს იმ მთავრობათა შორის შეთანხმებით, რომლებიც მისი წევრები არიან.

4. a) როცა საბჭო განიხილავს საკითხს, რომლითაც უშუალოდ დაინტერესებულია საფრანგეთი, რომელიც ამ წარმოდგენილი არ არის, ეს სახელმწიფო მიწვეულ უნდა იქნას, რათა თავისი წარმომადგენლები გაგზავნოს ამ საკითხის განხილვისა და შესწავლაში მონაწილეობის მისაღებად.

b) საბჭოს შეუძლია შეეფარდოს თავისი მუშაობის პროცედურა მის მიერ განსახილველი მოცემული პრობლემის ხასიათის. ზოგ შემთხვევაში მას შეუძლია წინასწარ განიხილოს საკითხი თავისი შემადგენლობით, სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოთა მონაწილეობამდე. სხვა შემთხვევაში საბჭოს შეუძლია მოიწვიოს ოფიციალური კონფერენცია იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაინტერესებულნი რომელიმე მოცემული პრობლემის გადაწყვეტით.

B. კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად სამი მთავრობიდან თვითეულმა გაუგზავნა ჩინეთისა და საფრანგეთის მთავრობებს იდენტური მოწვევა მიიღონ ეს ტექსტი და შეეფრთხნენ საბჭოს დაარსებას.

C. ამ ტექსტში მოხსენიებული სპეციალური მიზნებისათვის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დაარსება არ ეწინააღმდეგება ყირიმის კონფერენციაზე მიღწეულ შეთანხმებას იმის შესახებ, რომ ადგილი უნდა ექნეს ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და შეერთებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრების პერიოდულ კონსულტაციებს.

D. კონფერენციამ განიხილა აგრეთვე დებულება ევროპის საკონსულტაციო კომისიისა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დაარსების შესახებ შეთანხმების თვალსაზრისით. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ კომისიამ წარმატებით დასძლია თავისი ძირითადი ამოცანები, წარადგინა რეკომენდაციები გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის, გერმანიისა და ავსტრიის ოკუპაციის ზონებისა და ამ ქვეყნებში სამოკავშირეთა-მორჩილ საკონტროლო მექანიზმის შესახებ. დადგენილ იქნა, რომ ფიტლური ხასიათის შემდგომი შეშფოთა გერმანიასა და ავსტრიაზე კონტროლის მხრივ მოკავშირეთა პოლიტიკის კოორდინაციის დარგში მომავალში უნდა შეადგენდეს ბერლინში საკონტროლო საბჭოს და ვენაში მოკავშირეთა კომისიის კომპეტენციას. ამის შესაბამისად რეკომენდებულია ევროპის საკონსულტაციო კომისიის დათხოვნა.

III

გერმანიის შესახებ

მოკავშირეთა არმიები აბორიგენებენ მთელი გერმანიის ოკუპაციას, და გერმანელი ხალხი შეუდგა იმ სამნიეთი დანაშაულობის გამოსყიდვას, რაც ჩადენილია ამათი ხელმძღვანელობით, ვისაც მათი წარმატებების დროს იგი აშკარად უცქიდებდა თავის მოწოლებას და ბრძად იმორჩილებოდა.

კონფერენციაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება დამარცხებული გერმანიის მიმართ მოკავშირეთა კონტროლის პერიოდში კოორდინირებული პოლიტიკური და ეკონომიური პრინციპების შესახებ. ამ შეთანხმების მიზანია შესრულება ყირიმის დეკლარაციისა გერმანიის შესახებ. გერმანიის მილიტარიზმი და ნაციზმი აღმოფხვრილ იქნება, და მოკავშირეები, ერთმანეთთან თანხმობით, ამკანად და მომავალში, მიიღებენ სხვა ზომებსაც, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ გერმანია ვერასოდეს ვეღარ დაემუქროს თავის მეზობლებს ან მშვიდობიანობის შენარჩუნებას მთელ მსოფლიოში.

მოკავშირეებს განზრახვა არა აქვთ მოსპონ ან მონობაში ჩაადონ გერმანელი ხალხი. მოკავშირეებს განზრახული აქვთ შესაძლებლობა მისცეს გერმანელ ხალხს მოიმზადოს იმისათვის, რომ შემდეგში განაახრაციელოს თავისი ცხოვრების რეკონსტრუქცია დემოკრატიულ და მშვიდობიან საფუძველზე. თუ გერმანელი ხალხის საკუთარი დინამიზებანი განუწყვეტლივ მიმართული იქნება ამ მიზნის მიღწევისაკენ, მისთვის შესაძლებელი იქნება დროთა მსვლელობაში დაიკავოს ადგილი მსოფლიოს თავისუფალ და მშვიდობიან ხალხთა შორის.

ამ შეთანხმების ტექსტში ნათქვამია:

პოლიტიკური და ეკონომიური პრინციპები, რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ გერმანიასთან მოკავშირეობისას დანყებითს საკონტროლო პერიოდში

A. პოლიტიკური პრინციპები

1. გერმანიაში საკონტროლო შექმნიზის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, გერმანიაში უმაღლეს ძალაფლებს განახორციელებენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, შეერთებული სამეფოს და საფრანგეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლები, თვითეული ოკუპაციის თავის ზონაში, თავიანთი შესაბამისი მთავრობების ინსტრუქციების მიხედვით, აგრეთვე როგორც საკონტროლო საბჭოს წევრები ერთობლივად იმოქმედებენ იმ საკითხებზე, რომლებიც მთლიანად გერმანიას შეეხება.

2. რამდენადაც ამის პრაქტიკულად განხორციელება შესაძლოა, გერმანელი მოსახლეობისადმი მოპყრობა ერთნაირი უნდა იყოს მთელ გერმანიაში.

3. გერმანიის ოკუპაციის მიზნებს, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს საკონტროლო საბჭომ, წარმოადგენს:

I) გერმანიის სრული განიარაღება და დემილიტარიზაცია და ლიკვიდაცია გერმანიის მთელ მრეწველობისა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სამხედრო წარმოებისათვის, ან კონტროლი ამ მრეწველობაზე. ამ მიზნით:

a) გერმანიის მთელი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო შეიარაღებული ძალები, სს, სა, სდ და გესტაპო მთელი მათი ორგანიზაციებით, შტაბებითა და დაწესებულებებით, მათ შორის გენერალური შტაბი, ოფიცერთა კორპუსი, რეზერვისტთა კორპუსი, სამხედრო სასწავლებლები, ომის ვეტერანთა ორგანიზაციები, და ყველა სხვა სამხედრო და ნახევრადსამხედრო ორგანიზაციები, აგრეთვე მათი კლუბები და ასოციაციები, რომლებიც ემსახურებიან გერმანიაში სამხედრო ტრადიციების შენარჩუნების ინტერესებს, სავსებით და საბოლოოდ გაოქმებულ იქნება, რათა სამუდამოდ აცილებულ იქნას თავიდან გერმანიის მილიტარიზმისა და ნაციზმის აღორძინება ან რეორგანიზაცია;

b) მთელი საბერველი, ამუნიცია და საომარი იარაღი და მათი საწარმოებელი მთელი სპეციალიზებული საშაულებანი მოკავშირეთა განკარგულებაში უნდა იყოს ან უნდა მოიპოვოს. აღკვეთილ იქნება ყველა თვითმფრინავისა და ყოველგვარი საქურეველს, ავიაციისა და საომარი იარაღის შენახვა და წარმოება.

II) გერმანელი ხალხის დარწმუნება იმაში, რომ მან განიცადა ტოტალური სამხედრო დამარცხება და რომ მას არ შეუძლია თავი დაადწიოს პასუხისმგებლობას იმისათვის, რაც მან თავს დაიტეხა, რამდენადაც თვითონ მის მიერ ომის ულმობლად წარმოებამ და ნაციზების ფანატიკურმა წინააღმდეგობამ შოშალი გერმანიის ეკონომია და გარდუვალი გახადა ქაოსი და ტანჯვა.

III) ნაციონალ-სოციალისტური პარტიისა და მისი ფილიალების და მის კონტროლქვეშ მყოფი ორგანიზაციების მოსპობა, მთელი ნაცისტური დაწესებულებების დაშლა, იმის უზრუნველყოფა, რომ ისინი ვერ აღორძინდნენ ერთვითარი ფორმით, და ყოველგვარი ნაცისტური და მილიტარისტული საქმიანობის ან პროპაგანდის თავიდან აცილება.

IV) მომზადება გერმანიის პოლიტიკური ცხოვრების საბოლოო რეკონსტრუქციისათვის დემოკრატიულ საფუძველზე და გერმანიის ეკონტიალური შვიდობიანი თანაშრომლობისათვის საერთაშორისო ცხოვრებაში.

4. მთელი ნაცისტური კანონები, რომლებმაც ბაზისი შეიქმნეს ჰიტლერულ რეჟიმს, ან რომლებმაც დაუწესეს დისკრიმინაცია რასის, რელიგიისა თუ პოლიტიკური რწმენის საფუძველზე, გაუქმებულ უნდა იქნას. არავითარი ასეთი დისკრიმინაცია უფლებრივი, ადმინისტრაციული თუ სხვაგვარი, შეწყნარებული არ იქნება.

5. ომის დანშაულნი და ისინი, ვინც მონაწილეობდა იმ ნაცისტურ ლონისძიებათა დაგეგმვასა და განხორციელებაში, რომლებიც იწვევდნენ ან რომლისაც შედეგად მოჰყვებოდა მხეცობა ან სამხედრო დანაშაულებანი, დასასჯელად და სამართალში მიცემულ უნდა იქნან. ნაცისტთა ლიდერები, ნაცისტების გვერდნიანი მოსმრეები და ნაცისტურ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელნი შემადგენლობა და ყოველი სხვა პირნი, რომელნიც საშიში არიან ოკუპაციისა და მისი მიზნებისათვის, დასაპატიმრებელ და ინტერნირებულ უნდა იქნან.

6. ნაცისტური პარტიის ყველა წევრი, რომლებიც ამ პარტიის საქმიანობის ნამინალურ მონაწილეებზე მეტი იყვნენ, და მოკავშირეთა მიზნებისადმი მტრული ყველა სხვა პირნი, უნდა დათხოვნილ იქნან საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი თანამდებობებიდან და დიდმნიშვნელოვანი ადგილ საწარმოების პასუხსაგები პოსტებიდან. ეს პირები უნდა შეიცვალონ ისეთი პირებით, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური და მორალური თვისებების მიხედვით იმის უნარის მქონენი იყოვნებიან, რომ ხელი შეუწყონ ნამდვილად დემოკრატიულ დაწესებულებათა განვითარებას გერმანიაში.

7. განათლებას გერმანიაში ისე უნდა გაეწიოს კონტროლი, რომ საფუძვლით აღმოფხვრილ იქნას ნაცისტური და მილიტარისტული დოქტრინები და შესაძლებელი გახდეს დემოკრატიულ იდეათა წარმატებით განვითარება.

8. სასამართლო სისტემა რეორგანიზებულ იქნება დემოკრატიისა და მართლმსაჯულების პრინციპების შესაბამისად, კანონიერების და ყველა მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე განურჩევლად რასისა, ეროვნებისა და რელიგიისა.

9. გერმანიის მართვა-გამგეობა უნდა სწარმოებდეს პოლიტიკური სტრუქტურის დეცენტრალიზაციისა და ადგილებზე პასუხისმგებლობის გაძლიერების განვითარების მიმართულებით. ამ მიზნით:

I) ადგილობრივი თვითმმართველობა აღდგენილ იქნება მთელ გერმანიაში დემოკრატიულ საწყისებზე და, კერძოდ, არჩევითი საბჭოების მეშვეობით, იმდენად მალე, რამდენადაც ამის შეთავსება შეიძლება სამხედრო უსაფრთხოების შენარჩუნებასთან და საბჭოდო ოკუპაციის მიზნებთან.

II) მთელ გერმანიაში ნებადართულ და წახალისებულ უნდა იქნას ყველა დემოკრატიული პოლიტიკური პარტია და მათ მიეცეთ კრებების მოწვევისა და საჯარო მსჯელობის უფლება.

III) წარმომადგენლობისა და არჩევითობის პრინციპები შემოღებულ უნდა იქნას რაიონულ, პროვინციულ სამმართველოებში და მიწების სამმართველობაში იმდენად მალე, რამდენადაც ეს შეიძლება გამართლებულ იქნას ადგილობრივ თვითმმართველობაში ამ პრინციპების წარმატებითი გამოყენებისთვის.

IV) ჯერჯერობით დაარსებული არ იქნება გერმანიის არაკეთილი ცენტრალური მთავრობა. მაგრამ, მოეზიდოდეს ამისა, დაარსებულ იქნება გერმანიის ზოგიერთი არსებითად მნიშვნელოვანი ცენტრალური ადმინისტრაციული დეპარტამენტი, რომელსაც სათავეში ეყოფათან სახელმწიფო მდივანი, კერძოდ, ფინანსების, ტრანსპორტის, კომუნიკაციების, საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის დარგებში. ეს დეპარტამენტები იმოქმედენენ საკონტროლო საბჭოს ხელმძღვანელობით.

10. სამხედრო უშიშროების დაცვის საკითხების გათვალისწინებით ნებადართული იქნება სიტყვის, პრესისა და რელიგიის თავისუფლება, და სარელიგიო დაწესებულებანი ისარგებლებენ პატივისცემით. ნებადართულ იქნება თავისუფალი პროფკავშირების შექმნა აგრეთვე სამხედრო უშიშროების დაცვის საკითხების გათვალისწინებით.

B) ეკონომიური პრინციპები

11. გერმანიის სამხედრო პოტენციალის მოსპობის მიზნით შეიარაღების, საომარი საბერველი და ომის იარაღის წარმოება, აგრეთვე ყველა ტიპის თვითმფრინავებისა და საზღვაო გემების წარმოება უნდა აიკრძალოს და თავიდან აცილებულ იქნას. ლითონების, ქიმიური პროდუქტების წარმოებას, ძანქანათმშენებლობას და უშუალოდ სამხედრო ეკონომიკისათვის საჭირო სხვა საგანთა წარმოებას სასტიკი კონტროლი უნდა ეწუოდეს და შეიზღუდოს გერმანიის ომისშემდგომ მშვიდობიან საჭიროებათა მოწონებული დონის შესაბამისად, რაც საკმარისი იქნება მე-15 პუნქტში მოხსენებული მიზნების განსახორციელებლად. საწარმოო სამმლავრები, რაც საჭირო არ არის იმ მრეწველობისათვის, რომელიც ნებადართული იქნება, ან ამოღებულ უნდა იქნას სამოკავშირეთშორისო სარეპარაციო კომისიის მიერ რეკომენდებული და დაინტერესებული მთავრობების მიერ დამტკიცებული სარეპარაციო გეგმის შესაბამისად, ან უნდა მოიპოვოს თუ ამოღებული არ იქნება.

12. პრაქტიკულად დასაშვებ უმოკლეს ვადაში გერმანიის ეკონომიკა დეცენტრალიზებულ უნდა იქნას ის მიზნით, რომ მოიპოვოს ეკონომიური ძალაუფლებელი მეტისმეტი კონცენტრაცია, რაც წარმოდგენილია განსაკუთრებით კარტელების, სინდიკატების, ტრესტებისა და სხვა მონოპოლისტურ შეთანხმებათა ფორმით.

13. გერმანიის ეკონომიკის ორგანიზაციის დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობას და შინამოხმარებისათვის საჭირო შვიდობიანი მრეწველობის განვითარებას.

14. გერმანიის ოკუპაციის პერიოდში გერმანია უნდა განვიხილოთ, როგორც ერთიანი ეკონომიური მთელი. ამ მიზნით უნდა დაწესდეს საერთო პოლიტიკა:

a) სამთო და გადამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოებისა და განაწილებისა;

b) სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და მეთევზეობის;

c) ხელფასის, ფასებისა და რაციონირების;

d) მთლიანად გერმანიისათვის იმპორტისა და ექსპორტის პროგრამის;

e) ცენტრალიზებულ გადასახადებისა და ბაჟების, ფულისა და საბანკო სისტემისა;

f) რეპარაციების და სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის მოსპობის,

g) ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მიმართ.

ამ პოლიტიკის გატარებისას საჭიროების მიხედვით მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას სხვადასხვა ადგილობრივი პირობები.

15. უნდა დაწესდეს მოკავშირეთა კონტროლი გერმანიის ეკონომიკაადმი, მაგრამ მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც საჭიროა:

a) იხდეს ტრანსფერი განიარაღებისა და დემილიტარიზაციის, რეპარაციებისა და ნებადართული ექსპორტისა და იმპორტის პროგრამის შესასრულებლად;

b) საკონლის წარმოების უზრუნველსაყოფად და იმ სამსახურის გაწევის უზრუნველსაყოფად, რაც ადგილობრივი საოკუპაციო ძალებისა და გერმანიაში გადაყვანილ პირთა საჭიროების დასაკმაყოფილებად და რომლებიც მნიშვნელოვანია გერმანიაში სამუალო საარსებო დონის დასაკმაყოფილებად, რაც არ უნდა აღემატებოდეს ევროპის ქვეყნების საშუალო საარსებო დონეს (ევროპის ქვეყნები ნიშნავს ევროპის ყველა ქვეყანას, გარდა შეერთებული სამეფოსი და საბჭოთა კავშირისა).

c) სხვადასხვა ზონებს შორის ძირითადი საგნების თანაბარი განაწილების უზრუნველსაყოფად იმ წესით, რომელსაც საკონტროლო საბჭო დაადგენს, რათა შეიქმნას ბალანსირებული ეკონომია მთელ გერმანიაში და შენცირდეს იმპორტის საჭიროება;

d) გერმანიის მრეწველობისადმი და მთელი ეკონომიური და საფინანსო საართშორისო გარიგებებისადმი, მათ შორის ექსპორტისა და იმპორტისადმი, კონტროლის გასაწევად, იმ მიზნით, რომ თავიდან აცილებულ იქნას გერმანიის სამხედრო პოტენციალის განვითარება და მიღწეულ იქნას ამ მოხსენებული სხვა ამოცანები;

e) ეკონომიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ გერმანიის მთელ საზოგადოებრივი თუ კერძო სამეცნიერო, საკვლევი და ექსპერიმენტული დაწესებულებებისადმი, ლაბორატორიებისადმი, და ა. შ. კონტროლის გაწევად.

16. საკონტროლო საბჭოს მიერ დაწესებული ეკონომიური კონტროლის შემოსაღებად და დასაცავად უნდა შეიქმნას გერმანიის ადმინისტრატიული აპარატი და გერმანიის ხელისუფალთ წინადადება უნდა მიეცეთ სრული, პრაქტიკულად შესაძლებელი მოცულობით განაცხადონ და იკისრონ ამ აპარატის მართვა. ამრიგად, გერმანელ ხალხს უნდა ჩავაგონოთო, რომ პასუხისმგებლობა ამ მართვისა და ყოველი მისი ჩაშლისათვის მას დაეკისრება. გერმანიის ყოველი მართვა-გამგეობა, რომელიც ოკუპაციის ამ მიზნების საწინააღმდეგო იქნება, აიკრძალება.

17. მიღებულ უნდა იქნას დაუყოვნებელი ზომები იმისათვის, რომ:

a) ჩატარდეს ტრანსპორტის საჭირო რემონტი;

b) გადიდდეს ქვანახშირის ამოღება;

c) მაქსიმალურად გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და

d) ჩატარდეს ბინებისა და ძირითადი კომუნალური საწარმოების სასწრაფო რემონტი.

18. საკონტროლო საბჭომ უნდა გადადგას ჯერჯერობით ნაბიჯები საზღვარგარეთ არსებულ გერმანიის იმ აქტივებზე კონტროლის განხორციელებისა და განკარგულებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ არ მოქცეულან გაერთიანებული ერების კონტროლქვეშ, გაერთიანებული ერებისა, რომლებიც გერმანიის წინააღმდეგ ომში მონაწილეობდნენ.

19. რეპარაციების ანაწილაურების შემდეგ გერმანელ ხალხს უნდა დარჩეს საკმარისი რესურსები იმისათვის, რომ მან არსებობა შეესრულოს გარეგან დაეხმარებოდეს. გერმანიის სამეურნეო გეგმის შედგენისას უნდა გამოიყოს საჭირო საშუალებანი იმპორტისათვის, რაც მოწონებული იქნება საკონტროლო საბჭოს მიერ გერმანიაში. მიმდინარე წარმოების პროდუქტებისა და სასაქონლო მარაგის ეკსპორტიდან მიღებული ამონაგები პირველ რიგში ხმარდება ასეთი იმპორტის ანაზღაურებას.

აქ აღნიშნული პირობა გამოყენებულ არ იქნება გერმანიის რეპარაციათა შესახებ შეთანხმების მე-4 „A“ და მე-4 „B“ პუნქტებში მოხსენიებული მოწყობილობისა და პროდუქტების მიმართ.

IV

რეპარაციები გერმანიისაგან

შესაბამისად ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებისა იმის შესახებ, რომ გერმანია უნდა ვაიძულოთ რაც შეიძლება მეტი ზომით აანაზღაუროს ზარალი და ტანჯვა, რაც მან გაერთიანებულ ერებს მიაყენა და რისთვისაც პასუხისმგებლობას გერმანელი ხალხი თავიდან ვერ აიცილებს, მიღწეულ იქნა შემდეგი შეთანხმება რეპარაციათა შესახებ:

1. სსრ კავშირის სარეპარაციო პრეტენზიები დაკმაყოფილებული იქნება ამოღებათა გზით გერმანიის იმ ზონიდან, რომელიც ეკუთვნოდა სსრ კავშირის მიერ, და საზღვარგარეთ არსებულ გერმანიის შესაბამის დაბინდებათაგან.

2. სსრ კავშირი დაკმაყოფილებს პოლონეთის სარეპარაციო პრეტენზიებს რეპარაციათა თვალი წეოლოდან.

3. შეერთებული შტატების, შეერთებული სამეფოს და სხვა იმ ქვეყნების სარეპარაციო პრეტენზიები, რომლებსაც რეპარაციათა მიღების უფლება აქვთ, დაკმაყოფილებული იქნება დასავლეთ ზონებიდან და საზღვარგარეთ არსებულ გერმანიის შესაბამის დაბინდებათაგან.

4. იმ რეპარაციათა დამატებით, რომლებსაც საბჭოთა კავშირი ოკუპაციის თავისი ზონიდან იღებს, სსრ კავშირი დამატებით მიიღებს დასავლეთი ზონებიდან:

a) 15 პროცენტს ისეთი გამოსაყენებლად ვარგისი და კომპლექტური სამრეწველო კაპიტალური მოწყობილობისას, პირველ რიგში, მრეწველობის მეტალურგიული, ქიმიური და მანქანათმშენებელი დარგებისას, რომელიც აუცილებელი არ არის გერმანიის სამშვიდობო მეურნეობისათვის და ამოღებულ უნდა იქნას გერმანიის დასავლეთი ზონებიდან, გადასაცვლელად ეკვივალენტური ღირებულების სურსათზე, ქვანახშირზე, კალაჯვაზე, თუთიაზე, ხე-ტყის მასალებზე, თიხის ნაწარმზე, ნავთის პროდუქტებზე და სხვა სახის მასალებზე, რაც დადგენილი იქნება შეთანხმებებით;

b) 10 პროცენტს ისეთი სამრეწველო კაპიტალური მოწყობილობისას, რომელიც აუცილებელი არ არის გერმანიის სამშვიდობო ეკონომიკისათვის და რომელიც ამოღებულ უნდა იქნას დასავლეთი ზონებიდან საბჭოთა

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა

სამი სახელმწიფოს ბერლინის კონფერენციის შესახებ

(დასასრული. დასაწყისი იხ. 1-ლ გვ.)

მთავრობასთვის რეპარაციების ანგარიშში დაძასაცემად უსასყიდლოდ ან რაიმე სახით ანაზღაურებლად.

ზემოჩამოთვლილ „ა“ და „ბ“ პარაგრაფებში დათქმული მოწყობილობის ამოღება მოხდება ერთსაკადამავე დროს.

5. იმ მოწყობილობის ნაოლეხობა, რომელიც ამოღებულ უნდა იქნას დასავლეთი ზონებიდან რეპარაციათა ანგარიშში, უნდა გასისაზღვროს არა უგვიანეს ექვსი თვისა, დაწყებული დღეიდან.

6. სამრეწველო კაპიტალური მოწყობილობის ამოღება დაწყება იმდენად მალე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, და დამთავრდება ორი წლის განმავლობაში მე-5 პარაგრაფში აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ. მე-4 „ა“ პარაგრაფში დათქმული პროდუქტების ჩაბარება დაწყება იმდენად მალე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, და სამუშაო კვეთილი განაბარიცეულნს მას შეთანხმებაში დათქმულ პარტიებად, ხსენებული თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში. გადაწყვეტილებანი იმ კაპიტალური მოწყობილობის ოდენობისა და ხასიათის შესახებ, რომელიც აუცილებელი არ არის გერმანიის სამშვიდობო ეკონომიკისათვის, და ამიტომ რეპარაციებს ექვემდებარება, მიღებულ იქნება საკონტროლო საბჭოს მიერ იმ პოლონეთის თანახმად, რომელიც მიიღო მოკავშირეთა სარეპარაციო კომისიამ სოფრანდეთის ბონაწილეობით, ამასთან საბოლოო გადაწყვეტილებანი გამოტანილ იქნება იმ ზონის სარდლის მიერ, საიდანაც ამოღებულ იქნება მოწყობილობა.

7. იმ მოწყობილობის საერთო რაოდენობის განსაზღვრამდე, რაც ამოღებულ უნდა იქნას, მოხდება ისეთი მოწყობილობის ავანსად ჩაბარება, რომელიც მიჩნეული იქნება ჩასაბარებლად მე-6 პუნქტის უკანასკნელ ფრაზაში აღნიშნული წესის შესაბამისად.

8. საბჭოთა მთავრობა უარს ამბობს ყველა პრეტენზიაზე გერმანიის იმ საწარმოების აქციათა რეპარაციის მიმართ, რომლებიც გერმანიის ოკუპაციის დასავლეთ ზონებში მიბეჭდილ იქნებ, აგრეთვე გერმანიის საზღვარგარეთულ აქტივებზე ყველა მეეყანაში, გარდა იმ ქვეყნებისა, რომლებიც აღნიშნულია მე-9 პუნქტში.

9. ამერიკის შეერთებული შტატებისა და შეერთებული სამეფოს მთავრობები უარს ამბობენ ყველა პრეტენზიაზე გერმანიის იმ საწარმოების აქციათა რეპარაციის მიმართ, რომლებიც გერმანიის ოკუპაციის აღმოსავლეთ ზონაში მდებარობენ, აგრეთვე გერმანიის საზღვარგარეთულ აქტივებზე ბულგარეთში, ფინეთში, უნგრეთში, რუმინეთსა და აღმოსავლეთ ავსტრიაში.

10. საბჭოთა მთავრობას პრეტენზიები არა აქვს იქნ იმ ოქროზე, რომელიც მოკავშირეთა ჯარებმა ხელთ იგდეს გერმანიაში.

V

გერმანიის ფლოტი და სავაჭრო გემები

კონფერენცია პრინციპიულად შეთანხმდა გერმანიის იმ ფლოტისა და სავაჭრო გემების გამოყენებისა და განაკვეთების ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც დანებდნენ. გადაწყდა, რომ სამი მთავრობა დანიშნავს ექსპერტებს, რომლებიც ერთად შეიმუშავებენ შეთანხმებული პრინციპების განხორციელების დეტალურ გეგმებს. შემდგომს ერთობლივ განეხადებას სამი სახელმწიფო გამოაქვეყნებს ერთდროულად, სათანადო დროს.

VI

ქალაქი კენიგსბერგი და მისი მომიჯნავე რაიონი

კონფერენციამ განიხილა საბჭოთა მთავრობის წინადადება იმის შესახებ, რომ სანამ საბოლოოდ გადაწყდებოდეს ტერიტორიული საკითხები მშვიდობიანი მოწესრიგების დროს, ბალტიის ზღვის მომიჯნავე ნაწილი სსრ კავშირის დასავლეთი საზღვრისა გადიოდეს დანციგის ბუნების აღმოსავლეთ ნახირზე მდებარე პუნქტიდან აღმოსავლეთისაკენ—ბრაუნსბერგი-გოლდაპის ჩრდილოეთით—ლიტვის, პოლონეთის რუსპუბლიკისა და აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრების შესაყარზე.

კონფერენცია პრინციპულად დაეთანხმა საბჭოთა მთავრობის წინადადებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირს გადაეცეს ქალაქი კენიგსბერგი და მისი მომიჯნავე რაიონი, როგორც აღწერილია ზემოთ. მაგრამ ზუსტი საზღვრის გამოკვლევა უნდა მოხდეს ექსპერტების მიერ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადეს, რომ ისინი მხარს დაუჭერენ კონფერენციის ამ წინადადებას მომავალი მშვიდობიანი მოწესრიგების დროს.

VII

სამხედრო დამნაშავეთა შესახებ

სამმა მთავრობამ აღნიშნა მსჯელობა, რაც ამ უკანასკნელ კვირაში მიმდინარეობდა ლონდონში ბრიტანეთის, ამერიკის, საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს შორის იმ მიზნით, რომ მიეღწიათ შეთანხმებისათვის, თუ რა მეთოდებით მოხდეს გასამართლება ყველა მთავარი სამხედრო დამნაშავეებისა, ვისი დანაშაულიც მოსკოვის 1943 წლის ოქტომბრის დეკლარაციის მიხედვით არ შეეკუთვნება განსაზღვრულ გეოგრაფიულ ადგილს. სამი მთავრობა ადასტურებს თავის განზრახვას გადასცეს ეს დამნაშავენი სწრაფ და სამართლიან სამსჯაროს. ისინი იმედოვნებენ, რომ ლონდონის მოლაპარაკებას მალე მოჰყვება შედეგად ამ მიზნით მიღწეული შეთანხმება და ეუდიენი მნიშვნელოვნის საქმედ სთვლიან, რომ ამ თვალ დამნაშავეთა გასამართლება. რაც შეიძლება მალე დაიწყოს. ბრალდებულთა პირველი სია გამოქვეყნდება ამა წლის 1 სექტემბრამდე.

VIII

ავსტრიის შესახებ

კონფერენციამ შეისწავლა საბჭოთა მთავრობის წინადადება იმის შესახებ, რომ ავსტრიის დროებითი მთავრობის კომპეტენცია გავრცელდეს მთელ ავსტრიაზე.

სამი მთავრობა შეთანხმდა, რომ ისინი მზად არიან შეისწავლონ ეს საკითხი ბრიტანეთისა და ამერიკის ჯარების ქალაქ ენნაში შესვლის შემდეგ.

IX

პოლონეთის შესახებ

კონფერენციამ განიხილა საკითხები, რომლებიც შეეხება პოლონეთის ნაციონალური ერთიანობის დროებითის მთავრობას და პოლონეთის დასავლეთ საზღვრებს.

პოლონეთის ნაციონალური ერთიანობის დროებითი მთავრობის მიმართ თავიანთი პოზიცია მათ განსაზღვრეს შემდეგ განცხადებაში:

a) ჩვენ კმაყოფილნი გრძნობით მივიღეთ საფურადღებოდ პოლონეთში და საზღვარგარეთ ცოცხ პოლონელთა წარმომადგენლის შორის მიღწეული შეთანხმება, რამაც შესაძლებელი გახადა შედეგნა, ყირიმის კონფერენციაზე მიღწეულ გადაწყვეტილებათა თანახმად, პოლონეთის ნაციონალური ერთიანობის დროებითი მთავრობისა, რომელიც იცნეს სამმა სახელმწიფომ. ბრიტანეთის მთავრობისა და შეერთებული შტატების მთავრობის მიერ პოლონეთის დროებითის მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებამ გამოიწვია ის, რომ ისინი ალარ სცნობნ ლონდონში მყოფ პოლონეთის ყოფილ მთავრობას, რომელიც ალარ არსებობს.

შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა მიიღეს ზომები პოლონეთის ნაციონალური ერთიანობის დროებითი მთავრობა, როგორც პოლონეთის სახელმწიფოს აღიარებული მთავრობის ინტერესებს დასაცავად, პოლონეთის სახელმწიფოს ქონენილი ინ საკუთრების მიმართ, რაც მათს ტერიტორიაზე და მათს კონტროლ ქვეშ იმყოფება დამოუკიდებლად იმისა, რა ფორმაც ამ საკუთრებს აქვს.

შემდეგ მათ მიიღეს ზომები, რათა თავიდან აცილებულ იქნას ასეთი საკუთრების გადაცემა მესამე მხარეებისათვის. პოლონეთის ნაციონალური ერთიანობის დროებითს მთავრობას ყველა შესაძლებლობა მიეცემა, რათა ჩვეულებრივი იურიდიული ზომები გამოიყენოს პოლონეთის სახელმწიფოს ყოველი იმ საკუთრების აღსადგენად, რომელიც შეიძლებოდა უკანონოდ განსხვისებულიყო.

სამი მთავრობა ზრუნავს იმისათვის, რომ აღმოიჩინოს პოლონეთის ნაციონალური ერთიანობის დროებითის მთავრობას დახმარება, რათა საზღვარგარეთ მყოფ და პოლონეთში დაბრუნების მსურველ ყველა პოლონელს, მათ შორის პოლონეთის შეიარაღებული ძალების და სავაჭრო ფლოტს ჩვენებს, გაუადვილდეთ პოლონეთში დაბრუნება იმდენად მალე, რამდენადაც პრაქტიკულად შესაძლებელია. ისინი მოელიან, რომ სამშობლოში დაბრუნებულ პოლონელებს მიეცემათ პირადი ქონებრივი უფლებები ყველა პოლონელი მოქალაქის თანაბარ საფუძვლებზე.

სამი სახელმწიფო მზედგელობაში იიღებს, რომ პოლონეთის ნაციონალური ერთიანობის დროებითმა მთავრობამ, ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, თანხმობა განაცხადა მოაწყოს თავისუფალი და სრულიად დაუბარკოლებელი არჩევნები რაც შეიძლება მალე, საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, რომელშეც ყველა დემოკრატიულ და ანტიფაშისტურ პარტიას უფლება ექნება მონაწილეობა მიიღოს და წამოაყენოს კანდიდატები და შესაძლებლობა მისცეს მოკავშირეთა პრესის წარმომადგენლებს ისარგებლონ სრული თავისუფლებით, რათა მსოფლიოს აცნობონ პოლონეთის ამბების მიმდინარეობა არჩევნებამდე და არჩევნების დროს.

b) შემდეგი შეთანხმება მიღწეულ იქნა პოლონეთის დასავლეთი საზღვრის შესახებ:

შესაბამისად პოლონეთის შესახებ შეთანხმებისა, რაც მიღწეულ იქნა ყირიმის კონფერენციაზე, სამი მთავრობის მეთაურებმა განიხილეს პოლონეთის ნაციონალური ერთიანობის დროებითი მთავრობის თვალსაზრისი ჩრდილოეთით და დასავლეთით მდებარე ტერიტორიების შესახებ, რაც პოლონეთმა უნდა მიიღოს. კრაიოვა რადა ნაროდოვეს თავმჯდომარე და პოლონეთის ნაციონალური ერთიანობის დროებითი მთავრობის წევრები მიღებულ იქნენ კონფერენციაზე და სავსებით გამოსთქვეს თავიანთი თვალსაზრისი. სამი მთავრობის მეთაურებმა დაადასტურეს თავიანთი აზრი, რომ პოლონეთის დასავლეთი საზღვრის საბოლოო დადგენა უნდა გადაიდოს საშვიდობო კონფერენციამდე.

სამი მთავრობის მეთაურები შეთანხმდნენ, რომ პოლონეთის დასავლეთი საზღვრების საბოლოო დადგენამდე გერმანიის ყოფილი ტერიტორიები, რომლებიც მდებარობენ იმ ხაზის აღმოსავლეთით, რაც გადის ბალტიის ზღვიდან სვინემიუნდის ოდნავ დასავლეთით და იქიდან მდინარე ოდერზე მდინარე დასავლეთ ნეისის შესართავამდე და დასავლეთ ნეისეს გაყოლებით ჩეხოსლოვაკიის საზღვარამდე, ექმისავლეთ პრუსიის იმ ნაწილის ჩათვლით, რომელიც ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად არ შედის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის გამგებლობაში, ყოფილ თავისუფალ ქალაქ დანციგის ტერიტორიის ჩათვლით,—უნდა იყოს პოლონეთის სახელმწიფოს გამგებლობაში და ამ მხრივ არ უნდა განიხილებოდეს როგორც გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის ნაწილი.

X

საზღვრ ხელშეკრულებათა დადებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დაშვების შესახებ

კონფერენციამ გადაწყვეტა შემდეგი განცხადება გაკეთოს საერთო პოლიტიკის შესახებ, რათა რაც შეიძლება მალე დადგენილ იქნას პირობები ხანგრძლივი მშვიდობიანობისა ევროპაში ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ.

სამ მთავრობას სასურველად მიაჩნია, რომ იტალიის, ბულგარეთის, ფინეთის, უნგრეთისა და რუმინეთის ახლანდელ, ანომალური მდგომარეობა შესწორდეს საზავო ხელშეკრულებათა დადებით. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ სხვა დაინტერესებული მოკავშირე მთავრობები მათს თვალსაზრისს იზიარებენ.

თავის მხრივ სამმა მთავრობამ იტალიისათვის საზავო ხელშეკრულების მომზადება შეიტანა, როგორც პირველი რიგის ამოცანა იმ სასწრაფო და დიდმნიშვნელოვან ამოცანათა შორის, რომლებიც საგარეო საქმეთა მინისტრებს საბჭოს უნდა განეხილოს. იტალიამ ლერნის სახელმწიფოთაგან პირველმა გასწავლა კავშირი გერმანიასთან, რომლის დამარცხებაშიც მან მატერიალური წვლილი შეიტანა და ამკამად მოკავშირეობას არის იაპონის წინააღმდეგ ბრძოლაში. იტალია თვითონ განთავისუფლდა ფაშისტური რეჟიმისაგან და დიდი პროგრესი გაკეთა დემოკრატიული მართვა-გამგეობისა და დაწესებულებათა აღდგენის მიმართულებით. იტალიის დემოკრატიული მთავრობის მიერ აღიარებული ასეთი საზავო ხელშეკრულების დადება სამი მთავრობისათვის შესაძლებელს ხდის შეასრულონ თავიანთი სურვილი — მხარი დაუჭირონ იტალიის თხოვნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღების შესახებ.

სამი მთავრობა აკეთებენ აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ბულგარეთის, ფინეთის, უნგრეთისა და რუმინეთისათვის საზავო ხელშეკრულებათა მომზადების ამოცანას.

ამ სახელმწიფოებში აღიარებული დემოკრატიული მთავრობების მიერ საზავო ხელშეკრულებათა დადება აგრეთვე საშუალებას მისცემს სამ მთავრობას მხარი დაუჭიროს მათს თხოვნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღების შესახებ. სამი მთავრობა, თვითეული ცალცალკე, თანახმაა უახლოეს ხანში შეისწავლოს, იმ პირობათა თვალსაზრისით, რომლებიც მაშინ იქნება, საკითხი შესაძლებლობის ფარგლებში ფინეთთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან და უნგრეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ ამ კვეყნებთან საზავო ხელშეკრულებათა დადებამდე.

სამ მთავრობას ეკვი არ ეპარება, რომ ევროპაში ომის დამთავრების შედეგად შეეცალონ პირობების გამო მოკავშირეთა პრესის წარმომადგენლები ისარგებლენ სრული თავისუფლებით აცნობონ მსოფლიოს რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და ფინეთის ამბები. რაც შეეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სხვა სახელმწიფოების დაშვებას, გაერთიანებული ერების წესდების IV მუხლში, ნათქვამია:

„1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღება თავისუფალია ყველა სხვა შვიდობისმოყვარე სახელმწიფოთათვის, რომელნიც იკისრებენ წესდებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და რომლებსაც, ორგანიზაციის აზრით შეეძლიათ და სურთ ამ ვალდებულებათა შესრულება.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად ყოველი ასეთი სახელმწიფოს მიღება ხდება გენერალური ასამბლეის დადგენილებით და უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით“.

სამი მთავრობა, რამდენადაც ეს მათ შეეხება, მხარს დაუჭერს თხოვნას იმ სახელმწიფოების წევრად მიღების შესახებ, რომლებიც ომის დროს ნეიტრალური დარჩნენ და რომლებიც შეასრულებენ ზემომოყვანილ დებულებებს.

მაგრამ სამი მთავრობა მოვალედ სთვლის თავს განმარტოს, რომ ისინი თავის მხრივ მხარს არ დაუჭერენ თხოვნას წევრად მიღების შესახებ, რასაც გაანაცხადებს ესპანეთის ახლანდელი მთავრობა, რომელსაც, როგორც ღერძის სახელმწიფოთა მხარდამჭერნი შექმნილ, თავისი წარმოშობის, თავისი ხასიათის, თავისი საქმიანობისა და აგრესიორ სახელმწიფოებთან თავისი ჭეიდრო კავშირის გამო ასეთი წევრობისათვის აუცილებელი თვისებები არ მოეპოვება.

XI

სამეფოების ფერიფერიების შესახებ

კონფერენციამ განიხილა სამთა მთავრობის წინადადებანი სამეფოების ტერიტორიების საკითხის თაობაზე, როგორც ეს ტერიტორიები განმარტებული არიან ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, გადაწყდა, რომ საკითხი იტალიის ყოფილი კოლონიური ტერიტორიების შესახებ ისეთი საკითხია, რომელიც უნდა გადაწყდეს იტალიისათვის საზავო ხელშეკრულების მომზადებასთან დაკავშირებით და რომ იტალიის კოლონიური ტერიტორიების საკითხს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო სექტემბერში განიხილავს.

XII

რუმინეთში. ბულგარეთსა და უნგრეთში მოკავშირეთა საკონტროლო კომისიების პროცედურის გადასინჯვის შესახებ

სამმა მთავრობამ აღნიშნა, რომ საბჭოთა წარმომადგენლებმა მოკავშირეთა საკონტროლო კომისიებში რუმინეთში, ბულგარეთსა და უნგრეთში აცნობეს შეეერთებული სამეფოს და შეერთებული შტატების თავიანთ კოლეგებს წინადადებანი საკონტროლო კომისიათა მუშაობის გაუმჯობესების დარგში ახლა, როცა ევროპაში სამხარი მოქმედება შეწყდა.

სამი მთავრობა შეთანხმდა, რომ ახლა მოხდება ამ ქვეყნებში მოკავშირეთა საკონტროლო კომისიების პროცედურის გადასინჯვა ამ საბ მთავრობის ინტერესებისა და პასუხისმგებლობის მხედველობაში მიღებით, რომლებმაც ერთობლივად წარუდგენენ ფრანგეთი ზავის პირობები შესაბამის ქვეყნებს, იღებენ რა ბაზად შეთანხმებულ წინადადებებს.

XIII

გერმანიის მოსახლეობის მოწესრიგებული გადაყვანა

კონფერენციამ მიაღწია შემდეგ შეთანხმებას პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და უნგრეთიდან გერმანელების გადასახლების შესახებ:

სამი მთავრობა, რომლებმაც განიხილეს საკითხი ყველა ასპექტში, აღიარებს, რომ გერმანელი მოსახლეობა, ან მისი ნაწილი, რომელიც პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში დარჩა, გადაყვანილ უნდა იქნას გერმანიაში. ისინი თანახმანი არიან, რომ ყოველი გადაყვანა, რომელიც მოხდება, უნდა ეწყობოდეს ორგანიზებული და ჰუმანური საშუალებით. ვინაიდან გერმანიაში დიდძალი გერმანელის ჩასვლა ადიდებს ტვირთს, რომელიც უკვე აკისრია სოკუპაციო ხელისუფლებს, ისინი სთვლიან, რომ საკონტროლო საბჭომ გერმანიაში პირველ რიგში უნდა შეისწავლოს ეს პრობლემა, ამასთან გასაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ოკუპაციის ყველა ზონაში ამ გერმანელთა სამართლიანი განაწილებისა საკითხს. ისინი ინსტრუქციას მისცემენ თავიანთ წარმომადგენლებს საკონტროლო საბჭოში, რათა მოახსენონ თავიანთ მთავრობებს იმდენად მალე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, თუ რა როდენობით ჩავიდა უკვე აღნიშნულ მოსახლეობა გერმანიაში პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და უნგრეთიდან, და მძაკენ წინადადებანი იმ დროისა და სიჩქარის შესახებ, რომლითაც მოსახლეობის შემდგომი გადაყვანა შეიძლება მოხდეს ის სიტუაციის გათვალისწინებით, რაც გერმანიაში არსებობს.

ამავე დროს ჩეხოსლოვაკიის მთავრობას, პოლონეთის დროებითს მთავრობას და მოკავშირეთა საკონტროლო კომისიას უნგრეთში ეცნობებათ ზემოაღნიშნული და მათ წინადადება მეიღებათ თავი შეიკავონ გერმანელი მოსახლეობის შემდგომი გასახლებისაგან, სანამ შესაბამისი მთავრობები განიხილავენენ საკონტროლო საბჭოში მყოფ თავიანთი წარმომადგენლობის მოხსენებას.

XIV

მოლაპარაკება სამხედრო საკითხებზე

კონფერენციის დროს სამი მთავრობის შტაბების უფროსები ხვდებოდნენ ერთმანეთს სამხედრო საკითხებზე, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენდნენ.

XV

A. საბჭოთა კავშირის დელეგაციის სია

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე გენერალისიმუსი	**ი. ბ. სტალინი**
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი	**ვ. მ. მოლოტოვი**
ფლოტის ადმირალი	**ნ. გ. კუზნეცოვი**
წვოეკი არმიის გენერალური შტაბის უფროსი	**ა. ი. ანტონოვი**
საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე	**ა. ი. ვიშინსკი**
საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე	**ს. ი. კავთარაძე**
საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე	**ი. მ. მაისკი**
მთავარი სამხედრო-საზღვაო შტაბის უფროსი ადმირალი	**ს. გ. კუჩეროვი**
სსრ-ის ელჩი დიდ ბრიტანეთში	**ფ. ტ. გუსევი**
სსრ-ის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში	**ა. ა. გრომიკო**
საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, მე-2 ევროპელი განყოფილების გამგე	**ა. ვ. ნოვიკოვი**
საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, ამერიკის შეერთებული შტატების განყოფილების გამგე	**ს. ა. ცარაპკინი**
საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის 1-ლი ევროპელი განყოფილების გამგე	**ს. ვ. კოზეროვი**
საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ბალკანეთის ქვეყნების განყოფილების გამგე	**ა. ა. ლავრიშევი**
გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის მთავარმართველის თანაშემწე	**მ. ზ. საბუროვი**
გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის პოლიტიკური განყოფილების უფროსი	**ა. ა. სოკოლოვი**
საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ეკსპერტი-კონსულტანტი	**ს. ა. გოლუნსკი**

B. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის სია

პრეზიდენტი	**ჰარი ს. ტრუმენი,**
სახელმწიფო მდივანი	**ჯეიმს ფ. ბირნსი,**
ფლოტის ადმირალი	**უილიამ დ. ლეჰი,**
ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის შტაბის უფროსი	**ეროლ ჯ. კინგი,**
ეროლ ჯ. დეკინი,	
სპეციალური ელჩი,	
ედვინ კოული,	
სპეციალური ელჩი,	
ვ. ავერელ ჰარიმანი,	
ელჩი სსრ კავშირში,	
არმიის გენერალი	**ეროლ ჯ. მარშალი,**
შეერთებული შტატების არმიის შტაბის უფროსი,	
ფლოტის ადმირალი	**ერნსტ დ. კინგი,**
ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოპერატიული განყოფილების უფროსი და ამერიკის შეერთებული შტატების ფლოტის მთავარსარდალი,	
არმიის გენერალი	**ჯ. ბ. არნოლდი,**
ამერიკის შეერთებული შტატების საჰაერო ძალები,	
გენერალ-ლეიტენანტი	**ბ. სომერველი,**
საარმიო სამსახურის სარდალი,	
ვიცე-ადმირალი	**ე. ლინდი,**
სამხედრო-საზღვაო ტრანსპორტის უფროსი,	
ვილიამ ლ. კლეიტონი,	
სახელმწიფო მდივნის თანაშემწე,	
ჯეიმს ს. �ანი,	
სახელმწიფო მდივნის თანაშემწე.	
კოჯერელი	
სახელმწიფო მდივნის სპეციალური თანაშემწე,	
ფრანკლინ მატიუსი,	
სახელმწიფო დეპარტამენტის ევროპელი განყოფილების დირექტორი,	
ჩარლზ ე. ბოლენი,	
მდივნის თანაშემწე (პოლიტიკური, სამხედრო და ტექნიკურ მრჩეველებთან ერთად).	

C. შეერთებული სამეფოს დელეგაციის სია

პრემიერ-მინისტრი:	
ბ-ნი	**უინსტონ ს. ჩერჩილი,**
ბ-ნი	**ა. ვ. ედელი,**
საგარეო საქმეთა მინისტრი:	
ბ-ნი	**ანტონი იდენი,**
ბ-ნი	**ერნესტ ბევინი,**
ლორდი ლეზერსი,	
სამხედრო ტრანსპორტის მინისტრი,	
სერ	**ალექსანდრ კადოგანი,**
საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილე,	
სერ	**აჩარიბალდ კლარკ კერი,**
მისი უდიდებულესობის ელჩი მოსკოვში,	
სერ	**ფალტერ მონკტონი,**
შეერთებული სამეფოს დელეგაციის მეთაური მოსკოვის სარეპარაციო კომისიაში,	
სერ	**ვილიამ სტრანგი,**
ბრიტანეთის ოკუპაციის ბრიტანეთის ზონის მთავარსარდალი პოლიტიკური მრჩეველი,	
სერ	**ედვარდ ბრიჯზენი,**
მინისტრთა კაბინეტის მდივანი,	
ფელდმარშალი სერ	**ალან ბროუკი,**
სამეფო საჰაერო ძალების მარშალი,	
სერ	**ჩარლზ პორტალი,**
ავიაციის შტაბის უფროსი,	
ფლოტის ადმირალი სერ	**ედვარიუ კანინგჰამი,**
პირველი საზღვაო ლორდი,	
გენერალი სერ	**ბერნარდ მონტგომერი,**
ჯარების სარდალი	
ფელდმარშალი სერ	**ჯეიმს სმიტ,**
ინდოეთის ჯარების სარდალი	
ფელდმარშალი სერ	**ჯეიმს ფოლ,**
ინდოეთის ჯარების ადმინისტრაციის ოფიცერი	
ადმირალი	**ბ. ფ. ფრეზერ,**
ინდოეთის ზღვის ფლოტის ადმირალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VIII სესია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამგეკიცებისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ 3. ი. ეგნაგაშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინა სესია 1944 წლის შუა პერიოდში მეშვიდეა.

ამ დროს ზეობილი ომიდან ქვეყნებზის ბეჭედნილი ოფლი ეცვა სწვლებოდა და თავსატეხდაცემ ბრკვინვად ეფინებოდა ბერძნიანის სიზოფრეს, მაგრამ გაალესებული ბრძოლა ფაშისტური სიბინძურისაგან საბჭოთა მიწა-წყლის გასაწმენდად ჯერ კიდევ მოითხოვდა ჩვენი ხალხისა და მეფრონტის მთელ ძალლონეს ლაძასას და სამშობლოს თავისუფლების საკურთხეველზე ეწირებდა მსხვერპლის შეწირვას.

დიდი მბეჭერობისაკენ სტალინის ფერეკი ნებისყოფისა და ელრმენი ბრძის განმარტოებელებენ სახელმოხეკენილი სარდალი შემმესრულ ზეტეკის ეროვნებენ და შავბნელ ძალთა ელდანარეკ ერდოვნის თავიანთი ბენგაბისაკენ მიელალებოდნენ. თავდაშსმელთადმი სიძეკელთან ალორეკი საბჭოთა შეთარის მიხეილ ბერის ბანაკი მაკიდვა-ოდეზა.

ალტეკენი და მისი მარაწილი დამეკაშეენ გერმანიის სახელმწიფეკენი სარდალი, რომელსაც მოკავშირეთა ჯარიები ზედ ეუნდა შესეკეოდოდნენ და ეკუთეკეთებენენ.

წეოოეკა ბრძოლ შელეკენ გერმანიის ზეტეკენი, მიეტეკენ-მოიეტეკენ მისი ცინეკიბრკეკენი, ზარდამეკენ რიხეზედ ბაიტაკა ეეროეწოდეთ „ეკლეკეკ ბრძოლ", წელმი ოთხად მოხარა, ბეხლის თაეზე დაარიკა და ბრაკიდ დაიკეეგინა.

საკმარისია ითქვას, რომ ფლეს საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მეთაურთა კონფერენციი გერმანიის ფაშიზმის ყოველ ბუნაგში — ბერლინში შეშოთეს, სადაც მრავალი წელის მანძილზე ანკაცეზისაკენ იმალარეთ ეკეარანია და მთელი კაცობრიობის დამონების გეგეეეეს.

საბჭოთა კავშირი უკვე თანდათანობით გადადის საბრეეეთო მეშოთაზე.

მაგრამ, საშეეეეთი მეშოთის ნიდაგეზე ფეეეი ფეეეე

საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VIII სესია

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VIII სესიის 1945 წლის 1-ლი აგვისტოს სხდომის შესახებ

1 აგვისტოს, დღის 11 საათზე, შეიდა საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VIII სესიის მეოთხე სხდომა.

თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე—დეპუტატი ი. დ. კოტელნიკოვი.

კამათში საქართველოს სსრ 1945 წლის ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1943 და 1944 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების შესახებ მოსხენების გამო გამოიდგნენ დეპუტატი ი. ე. ლეფდუშენი (ბაშქირის ოლქი) და დეპუტატი ვ. ა. ალავიძე (ცალკე ოლქი, ინგუშეთის ასსრ).

ამით კამათი დღის წესრიგის პირველი საკითხის შესახებ შეწყდა და საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სამეცნიო სტუკვაში მომხსენებლის — საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის დეპუტატ კ. ხ. ცინცაძისა და თანამომხსენებლის — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ გ. ე. ნარსიანისა.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა საქართველოს სსრ 1945 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. მუსლობრივად, შემდეგ კი მთლიანად „ერნინ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1945 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო გადადის დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვაზე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებაზე.

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს დეპუტატ ვ. ი. ეგნატაშვილს მოხსენებასთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს:

„საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 19, 20, 50, 55 და 108 მუხლების ცვლილებისა და დამატების შესახებ";

„საქართველოს სსრ საქორწინო, სოციალთა და სამეურვეო კანონთა კოდექსში და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ";

„ერთ-ერთი მეუღლის ფრონტზე გარდაცვალებასა ან უგზოუკვლოდ დაკარგვის შემთხვევაში ფაქტიური საქორწინო ურთიერთობის დადგენის წესის შესახებ";

„საქართველოს სსრ საქორწინო, სოციალთა და სამეურვეო კანონთა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" 1945 წლის 28 მაისისა.

„საქართველოს სსრ საქორწინო, სოციალთა და სამეურვეო კანონთა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" 1943 წლის 30 სექტემბრისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისრების დანიშვნის შესახებ.

თავმჯდომარე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. დ. კოტელნიკოვი ეუწყება, რომ VIII სესიის დღის წესრიგი ამოწურულია, და სესიას დახურულად აცხადებს.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

1945 წელს საბაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა და სასოფლო-სამეურნეო მეცხოველეობის ადგილობრივი ორგანოებისა და ფერმერთა ბრიგადის შესრულებისათვის ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების საკავშირო სოციალისტური ფედერაციის ფედერაციის შესახებ

განხილია რა 1945 წელს საბაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ბრიგადის შესრულებისათვის და საოფლეურნეო მეცხოველეობის ადგილობრივ ორგანოებისა და ფერმერთა ბრიგადის ოლქებისა, მხარეებისა და რესპუბლიკებისა საკავშირო სოციალისტური ფედერაციის ფედერაციისა, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ საბაზაფხულო თესლის

საბაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებისათვის ფაფრიბრებაში

1. გადაეცეს თავდაცვის საბჭოსშიფიო კომიტეტს გარდამავალი წოლილი ფრონტა და მიეკუთვნოს:

პირველი ფულადი პრემიები:
მოსკოვის ოლქს
ულიანოვის სსრ ოლქს
მეორე ფულადი პრემიები:
ლენინგრადის ოლქს
ფსკოვის ოლქს
ყალინინის ოლქს
ულიანოვის სსრ პოლტავის ოლქს
ალტაის მხარეს

2. აღინიშნოს, რომ საგაზაფხულო თესლის შესასრულებლად კარგი მუშაობა ჩატარეს

საკავშირო მეცხოველეობის

1. გადაეცეს თავდაცვის საბჭოსშიფიო კომიტეტს გარდამავალი წოლილი ფრონტა და მიეკუთვნოს:

პირველი ფულადი პრემიები:
მოსკოვის ოლქს
ტალინინგრადის ოლქს
მეორე ფულადი პრემიები:
სვერდლოვსკის ოლქს
ბაშქირის სსრ გორკოვის ოლქს
ომსკის ოლქს

ეუბნეკეთის, მოლდავეთის, ბელორუსიის, კრელიალა-ფინეთის, საქართველოს, ახერბაიჯანის, ყაზახეთის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის სს რესპუბლიკებსა, ნოეფეთის, ბაშკირეთის, ოაკეტეთის ასს რესპუბლიკებსა, ეოლოველის, არ-ხანგელსკის, ნოვგოროდის, ბრიანსკის, ვლადიმირის; ივანოვოს, ალროსლავლის, ველიკეი ლუკის, ოროლის, გორკის, რიაზანის, კურსკის, კალუგის, სმოლენსკის, კოსტრომის, ორეულ-სკის, ტვერეოოოს, ჩკალოვის, ვორონეჟის, ყირიმის ოლქებსა, ეკარაინის სსრ სტალინის, დნეპროპეტროვსკის, ბაროვის, კიროოვოგრა-დის ოლქებსა და სტავროპოლის მხარეს.

ადგილობრივისათვის ფაფრიბრებაში

როსტოვის ოლქს
კალინინის ოლქს

2. აღინიშნოს, რომ საკავშირო მეცხოველეობის ადგილობრივისათვის კარგი მუშაობა ჩატარეს სომხეთის სსრ, დაღესტნის ასსრ, ბაშკეეთის ასსრ, სარატოვის, ასტრახანის, ჩკალიანსკის, ნოგოისბირსკის, კურგანის, ტულის, ჩკალოვის, ვორონეჟის ოლქებზე, ეარაინის სსრ სტალინის ოლქის, ყაზახეთის სსრ დასავლეთ ყაზახეთისა და ყარაგანდის ოლქებმა, ერასნოფარის მხარემ.

ამერიკაკავკასიის, ორჯონიკიძის, ჩრდილოეთ კავკასიის, სტალინგრადისა და სპახრთან-ალეოსაკენ რკინიგზების მუშაკთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

დიდი სამამული ომის პერიოდში თავდაცვითი და სახალხო სამეურნეო ტვირთის გადაზიდვის დარგში მთავრობისა და სამხედრო სარდლობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოდნენ ორდენებით:

ლენინის ორდენით: ორჯონიკიძის რკინიგზის მენეჯერული წყლების საორთოქმაფალი ფეხოს უფროსი მეფანაქენე ვ. ნ. ობრაკი, ამერკავკასიის რკინიგზის თბილისის საორთოქმაფალი ფეხოს ბრიგადის ინჟინერ ვ. ა. ბერეული, ჩრდილოეთ-კავკასიის რკინიგზის სალინგადაგი სამსახურის უფროსი მ. ბ. ზიატეკი, სამხრეთ-აღმოსავლეთ რკინიგზის უფროსი ვ. ს. ლუგინეკო, სამხრეთ-აღმოსავლეთ რკინიგზის ბალშოვის ტეხნიკის მთავარი ინჟინერ-ტრონი ა. ვ. ნიკიტინი, სტალინგრადის რკინიგზის სადგურ ტორ-ოპოლთან ეკ. ბ. ბოკოვი, ბერეთ ბაკურიანი, ბ. ბ. ბ.